ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №პ/350702/36

თბილისი „ 10 “ „ ივნისი “ 2011 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ს/კ №211333957 (თბილისი, 0119, წერეთლის გამზ. №144; საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, ბ/კ №TRESGE22; ა/ა №200122900) მინისტრის პირველი მოადგილის ირაკლი გიორგობიანის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ: შპს „ირაო არტ“-ს ს/კ №204536010, (მის: თბილისი, სანაპიროს №4. საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „ბანკი რესპუბლიკა”, ბ/კ №REPLGE22; ა/ა№10228891515) მისი დირექტორის შალვა ჩიტიშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“).

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 26 იანვრის №39 (ცვლილება 2011 წლის 1 აპრილის №225) დადგენილების შესაბამისად – „საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „სამედიცინო და სამინისტროს სისტემის დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის სახელმწიფო პროგრამის“, აღჭურვის კომპონენტის ფარგლებში, ფსიქიკური დაწესებულებების ტერიტორიების კეთილმოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და საავტორო ზედამხედველობის შესყიდვაზე, რაზედაც მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდვლას ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია 28 220,00 (ოცდარვა ათას ორასოცი) ლარად დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლით. (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. ფსიქიკური დაწესებულებების ტერიტორიების კეთილმოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და საავტორო ზედამხედველობა. წინამდებარე ხელშეკრულების დანართ №1-ში მითითებული სამუშაოთა შესაბამისად.

3.2. საპროექტო ფართობი შეადგენს 4150კვ.მ.-ს, რომლის ერთი კვადრატული მეტრის საპროექტოს სამუშაო და საავტორო ზედამხედველობის ღირებულება შეადგენს 6.80 ლარს.

4. მომსახურების გაწევის პირობები და ვადები

4.1. „მიმწოდებელი“ განახორციელებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოებს ეტაპობრივად, საიდანაც საპროექტო დოკუმენტაცის მიწოდება განხორციელდება 2011 წლის 15 ივლისამდე ხოლო საავტორო ზედამხედველობა არაუგვიანეს 2011 წლის 15 სექტემბრისა.

5. ხელშეკრულების ღირებულება, ანგარიშსწორების პირობები

5.1. შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

5.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

5.3. შესრულებულ სამუშაოს ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად ან ერთჯერადად მას შემდეგ, რაც დასრულდება წინამდებარე ხელშეკრულების მე-15 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებები.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად ან ერთჯერადად, შესრულებული სამუშაოს შესაბამისად.

6.2. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველსა და მიმწოდებლის მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6.3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებისთვის მიმწოდებელმა სრულად ან ეტაპობრივად უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

6.4. შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება ინსპექტირების ჯგუფის დასკვნის საფუძველზე.

6.5. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია თითოეულ ობიექტზე წარმოდგენილი უნდა იქნეს 4 (ოთხი) ეგზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

- უზრუნველყოს მომსახურები გაწევა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
- დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
- მოქმედი ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოთა მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება დადგენილ ვადებში.
- სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო შემსყიდველს მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.
- განახორციელოს ფინანსური და საბუღალტრო ანგარიშგება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

- დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ.
- სახელმწიფო ხაზინიდან სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების უწყვეტი დაფარვის პირობებში უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ ადექვატური და დროული დაფინანსება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 საბანკო დღისა.
- დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
- საჭიროების შემთხვევაში მიაწოდოს “მიმწოდებელს” საპროექტო ტერიტორიის წითელი ხაზების (საკადასტრო რუკის) ელექტროუნული ვერსია და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.
- მიაწოდოს სრული და დროული ინფორმაცია პროექტირებისათვის.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

- ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით.
- გადაუხდელობის შემთხვევაში მოსთხოვოს ანაზღაურება ყველა საჯარიმო სანქციით გამოწვეული ზარალისა სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორებისას.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

- აწარმოოს გაწეული სამუშაოს ხარისხის კონტროლი;
- აწარმოოს შესრულებულ სამუშაოთა ფინანსური და ორგანიზაციული მონიტორინგი როგორც გეგმური, ასევე მიმდინარე;

8.3. “მიმწოდებელს” უფლება აქვს შეასრულოს მომსახურეობა ეტაპობრივად (თითოეულ ობიექტზე) და მოითხოვოს ამ ეტაპით გათვალისწინებული ანაზღაურება

9. გარანტია

9.1 მიმწოდებელი იძლევა გაწეული მომსახურების ქვეყანაში მოქმედი და აღიარებული საერთაშორისო სტანდარტებისადმი შესაბამისობის გარანტიას. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაო განახორციელოს მაღალკვალიფიციურ დონეზე, ეთიკური და პროფესიული ნორმების დაცვით;

9.2. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

9.3. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან;

9.4. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი არ შეასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს იმ მოცულობითა და ხარისხით, რომელიც მოცემულია სამუშაოთა აღწერილობაში შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10. ფორს-მაჟორი

10.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვის ვადით, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
10.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

11.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
11.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
11.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების დადგომისას დასაშვებია ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა არაუმეტეს 10%-ის ოდენობით.
11.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით, ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
14.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლო ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

15. ინსპექტირების პირობები

15.1. შემსყიდველი უფლებამოსილია, ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;
15.2. ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგს/კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი. ასევე შემსყიდველი უფლებამოსილია მოიწვიოს დამოუკიდებელი ექსპერტები;
15.3. შემსყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების შესრულების შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია, რომლის წარმოდგენის ვადების დარღვევა შეიძლება გახდეს შემსყიდველის მხრიდან მიმწოდებელზე საჯარიმო სანქციების საფუძველი, ხოლო მსგავსი დარღვევების განმეორების შემთხვევაში შემსყიდველს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

15.4. შემსყიდველის მიერ გაწეული მომსახურების კონტროლი განხორციელდება მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე;
15.5. ინსპექტირების ჯგუფის მიერ გამოვლენილი ხარვეზები მიმწოდებელმა უნდა აღმოხვრას საკუთარი ხარჯებით არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს ასევე შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ.
16.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები
17.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა.
17.2. ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	შპს „ირაო არტ“
საიდენტიფიკაციო კოდი №211333957	საიდენტიფიკაციო კოდი №204536010
ქ. თბილისი, 0119 წერეთლის გამზ. №144	თბილისი, სანაპიროს №4
სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი № TRESGE22 ა/ა №200122900	სს „ბანკი რესპუბლიკა“ ბანკის კოდი № REPLGE22 ანგ. №10228891515
ირაკლი გიორგობიანი **მინისტრის პირველი მოადგილე**	**მალხაზ ... იშვილი** **დირექტორი**

ვიზა: ი. ყაჭიური
ზ. დარჩია
ი. ქიტიაშვილი
ლ. ჩხეიძე

შემსრულებელი: შ. ბაღაშვილი

ხელშეკრულების №
დანართი №1

ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტის
სამუშაოების ჩამონათვალი

- **ქ. თბილისი, ქავთარაძის ქ. №21ა-ში არსებული კომპლექსის მარცხენა ბლოკი**

1. გამწვანების პროექტი (გაზონების, ბუჩქების და ხეების განლაგება)
2. ავტოსადგომების მოწყობა
3. სამანქანო და საფეხმავლო მოძრაობის სქემა
4. სარწყავი სისტემის პროექტი
5. ღობეების მოწყობის პროექტი
6. სასეირნო ეზოების და საჩრდილობლების მოწყობის პროექტი
7. გარე განათების მოწყობის პროექტი
8. ხარჯთაღრიცხვა.
9. საავტორო ზედამხედველობა

- **ქ. რუსთავი ამბულატორიული მეთვალყეურეობისა და კრიზისული ინტერვენციის ცენტრი.**

1. გამწვანების პროექტი (გაზონების, ბუჩქების და ხეების განლაგება)
2. სარწყავი სისტემის პროექტი
3. ღობეების მოწყობის პროექტი
4. სასეირნო ეზოების და საჩრდილობლების მოწყობის პროექტი
5. გარე განათების მოწყობის პროექტი
6. ხარჯთაღრიცხვა.
7. საავტორო ზედამხედველობა

- **ქ. ქუთაისი შპს „ო. ჩხობაძის სახელობის ინვალიდთა და ხანდაზმულთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო რეგიონალური კლინიკური ცენტრი“**

1. გამწვანების პროექტი (გაზონების განლაგება)
2. სარწყავი სისტემის პროექტი
3. ღობეების მოწყობის პროექტი
4. სასეირნო ეზოების და საჩრდილობლების მოწყობის პროექტი
5. გარე განათების მოწყობის პროექტი
6. ხარჯთაღრიცხვა.
7. საავტორო ზედამხედველობა